

საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური



ავიჯეულობის გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვა

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 12¹ მუხლისა და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების საფუძველზე

ქ. თბილისი
2012 წელი

სარჩევი

1. საკვალიფიკაციო მოთხოვნები

- 1.1. დაფინანსების წყარო
- 1.2. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები
- 1.3. პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული სატენდერო წინადადება
- 1.4. მოწოდების ვადა და ადგილი
- 1.5. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება
- 1.6. წინადადებით წარმოდგენილი ფასის კლების ბიჯის ოდენობა
- 1.7. ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია
- 1.8. ანგარიშსწორების პირობები

2. ტექნიკური პირობები

3. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი

4. აფიდავიტის საილუსტრაციო ფორმა

5. დანართი 1. ფასების ცხრილი

6. დანართი 2. საბანკო გარანტიის ფორმა

7. დამატებითი ინფორმაცია

1. ტექნიკური და საკვალიფიკაციო მოთხოვნები

1.1. დაფინანსების წყარო

საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დაფინანსება ხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

1.2. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები

საკვალიფიკაციო მონაცემები შედგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე და უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას (სუბკონტრაქტორის არსებობის შემთხვევაში, პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნას სუბკონტრაქტორის შესახებ იგივე ინფორმაცია):

იურიდიული პირებისათვის:

ა) ცნობა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის ან რეაბილიტაციის საქმე;

გ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, იურიდიული პირის ქონებაზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ;

ფიზიკური პირებისათვის:

ა) ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ ხორციელდება სისხლის სამართლებრივი დევნა;

ბ) ცნობა უფლებამოსილი ორგანოდან, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:

ცნობას, საგადასახადო ორგანოდან, ბიუჯეტის მიმართ სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არქონის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან);

შენიშვნა: არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემულ უნდა იყოს გამარტივებული ელექტრონული ტენდერის გამოცხადების თარიღის შემდგომ;

ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, დენის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები, წარმოდგენილი უნდა იქნეს შემსყიდველ ორგანიზაციაში მოთხოვნიდან არა უმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში.

1.3 პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს

შემდეგი სახის დოკუმენტებსა და ინფორმაციას:

- ინფორმაცია პრეტენდენტის რეკვიზიტების შესახებ (ორგანიზაციის ან ფიზიკური პირის დასახელება, იურიდიული მისამართი, პრეტენდენტის ფაქტობრივი მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელის სახელი, გვარი).
- ინფორმაცია ანალოგიური გამოცდილების შესახებ ბოლო 3 წლის განმავლობაში, დამკვეთისა და მოცულობების მიხედვით.
- ფასების ცხრილი (დანართი N1);
- ინფორმაცია ანგარიშსწორების პირობების შესახებ;
- შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პირობები.

1.4. მიწოდების ვადა და ადგილი

1.4.1 ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 დღის განმავლობაში შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ჭოროხის ქ.№6.

1.5. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება:

საქონლის სავარაუდო ღირებულებაა **7680** ლარი, დღგ-ს ჩათვლით.

1.6. წინადადებით წარმოდგენილი ფასის კლების ბიჯის ოდენობა: 77 ლარი

1.7. ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია შეადგენს სახელშეკრულებო ღირებულების 2%-ს, რომელიც გამოყენებულ იქნება შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში.

1.8. ანგარიშსწორების პირობები:

უნაღდო ანგარიშსწორება ეროვნულ ვალუტაში, მოწოდებული საქონლისა და ანაზღაურებისათვის საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 20 დღის განმავლობაში.

შენიშვნა: შემოთავაზება ძალაში უნდა იყოს 30 დღის განმავლობაში.

2. ტექნიკური პირობები

№	საქონლის დასახელება	ძირითადი მახასიათებლები	რაოდენობა (ცალი)
1	აქანდაზი ტარით	პლასტმასის, მაღალი სახელურით	50
2	ცოცხი		150
3	ფეხის საწმენდი ჯაგრისი	მეტალის კარკასით, მაღალი ქებით.	16
4	ფანჯრის საწმენდი ჯაგრისი	სახელური მინიმუმ 150სმ.	35
5	იატაკის ჯაგრისი ტარით	პლასტმასის, მაღალი სახელურით	50
6	იატაკის საწმენდი ჯოხი	ბამბუკის, მინიმუმ 150 სმ.	70
7	მანქანის სარეცხი ჯაგრისი	პლასტმასის, მაღალი სახელურით	15
8	სათლი (ვედრო)	მეტალის, 16ლ.	20
9	სასაპნე	თხევადი საპნისათვის, პლასტმასის, მინიმუმ 300მლ. ტევადობის	60
10	ჭერის საწმენდი ჯაგრისი	პლასტმასის, მაღალი სახელურით	20
11	ხელის შესაწმენდი ქაღალდის დასაკიდებელი	პლასტმასის	80
12	უნიტაზის საწმენდი ჯაგრისი	პლასტმასის ჩასადებით	25
13	ნაგვის ურნა	პლასტმასის, მინიმუმ 12ლ. თავსახურით	50
14	სარკე	სველი წერტილებისთვის. პლასტმასის ჩარჩოში. ზომა – 60X45სმ.	35

3. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში

სახელმწიფო შესყიდვის

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №

ქ. თბილისი

----- 2012 წ.

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16¹ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად ერთი მხრივ, საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურსა (მდებარე ქ.თბილისი, 9 აპრილის ქ. №2 შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ, ----- (შემდგომში „მიმწოდებელი“) შორის.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია 2012 წლის განმავლობაში სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ----- უზრუნველყოფის სახელმწიფო შესყიდვა, კერძოდ დანართ №1-ში ჩამოთვლილი საქონლის (შემდეგ – “საქონელი”) შესყიდვა.

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს ----- (შემდგომში „ხელშეკრულების ფასი“);

მუხლი 3. საქონლის მიწოდების და მიღება-ჩაბარების პირობები

3.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია, საქონლის მიწოდება განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 დღის განმავლობაში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჭოროხის ქ.№6. საქონლის ტრანსპორტირებას „მიმწოდებელი“ უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით;

3.2. „მიმწოდებელი“ ვალდებულია მოთხოვნის შესაბამისად მიაწოდოს „შემსყიდველს“ ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებული საქონელი;

3.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება ითვლება მიღებულად მას შემდეგ, რაც „შემსყიდველის“ მიერ გამოყოფილი პირები ხელის მოწერით დაადასტურებენ მიღება-ჩაბარების აქტს;

3.4. „მიმწოდებელმა“ საქონელთან ერთად „შემსყიდველს“ უნდა წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტები - სასაქონლო ზედნაღები და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა;

3.5. “შემსყიდველი” უფლებამოსილია უარი განაცხადოს უხარისხო საქონლის მიღებაზე.

მუხლი 4. ანგარიშსწორება

4.1 ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღლო ანგარიშსწორება ეროვნულ ვალუტაში.

4.2 ანგარიშსწორების ვადა (გრაფიკი): „მიმწოდებლის“ მიერ საქონლს მიწოდებიდან და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 20 დღის განმავლობაში.

მუხლი 5. გარანტია

5.1 „მიმწოდებელი“ იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი შეესაბამება „შემსყიდველის“ მოთხოვნებს;

5.2 „მიმწოდებელი“ ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული საქონლის ან მისი ნაწილის შეცვლა „შემსყიდველის“ მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

მუხლი 6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება მიწოდებული საქონლის ხარისხის შემოწმების გზით;

6.2 „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა ნაკლის აღმოფხვრა.

6.3 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებენ „შემსყიდველის“ შემდეგი წარმომადგენლები:

1) -----;

2) -----;

მუხლი 7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

7.1.1 მოთხოვოს „შემსყიდველს“ მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.2 „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

7.2.1 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7.3 „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

7.3.1 შეამოწმოს მიწოდებული საქონლის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.4 „შემსყიდველი“ ვალდებულია:

7.4.1 მოახდინოს ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

7.4.2. მის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში გამოიყენოს ხელშეკრულების შესრულების 2%-ანი საბანკო გარანტია, რომელიც მიმართულ უნდა იქნეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან „შემსყიდველისათვის“ პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

8.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

8.5 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

მუხლი 10. ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 „შემსყიდველს“ შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, „მიმწოდებლისათვის“ ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

(ა) თუ „მიმწოდებელს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან „შემსყიდველის“ მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;

(ბ) თუ „მიმწოდებელს“ არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

10.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ და „შემსყიდველს“ დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;

10.3 „შემსყიდველს“ შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ „შემსყიდველისათვის“ ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო „მიმწოდებელი“ ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) „მიმწოდებლის“ გადახდისუნაროდ ცნობის შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 11. მხარეთა პასუხისმგებლობა

11.1 ხელშეკრულების მონაწილე მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნახლავონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

11.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის „მიმწოდებელს“ ეკისრება მისაწოდებელი საქონლის ღირებულების პირგასამტეხლო 0,1 პროცენტის ოდენობით.

11.3 იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს მისაწოდებელი საქონლის ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, „შემსყიდველს“ უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

მუხლი 12. ფორს-მაჟორი

12.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას

12.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2012 წლის -----

მუხლი 14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1. წინამდებარე სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან წარმოშობილი ნებისმიერი დავა წყდება მხარეთა ურთიერთმოლაპარაკების გზით.

14.2. მხარეთა შორის შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა წყდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) ეგზემპლარად (ერთი-შემსყიდველს, მეორე - მიმწოდებელს), საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

“შემსყიდველი”

„მიმწოდებელი“

საქართველოს სახელმწიფო
დაცვის სპეციალური სამსახური

ქ.თბილისი, 9 აპრილის ქ.№2
ჭოროხის ქ.№6

სახელმწიფო საზინა
სახელმწიფო დაცვის სპეციალური
სამსახურისათვის – 1531

ა/ა №200122900
კოდი 220101222

საიდენტიფიკაციო კოდი 203840344

“შემსყიდველის” სახელით:

„მიმწოდებლის“ სახელით:

საქართველოს სახელმწიფო დაცვის
სპეციალური სამსახურის
უფროსის მოადგილე

გ. ბარიშვილი

4. აფიდავიტის საილუსტრაციო ფორმა

აფიდავიტი

სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

* ჩემთვის ცნობილია, რომ სატენდერო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;

* უფლებამოსილი ვარ პრეტენდენტის მიერ, ხელი მოვანერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს სატენდერო წინადადება;

* ნებისმიერ პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია სატენდერო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ;

* ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი "კონკურენტი" აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ან/და წარადგინოს სატენდერო წინადადება ამ ტენდერში;

* მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- სატენდერო წინადადების ფასი;
- სატენდერო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
- სატენდერო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
- ისეთი სატენდერო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული ტენდერის პირობებს;
- შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება სატენდერო წინადადება;

* სატენდერო წინადადების პირობები პრეტენდენტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმულავნებია ან/და არ გაუმულავნებს კონკურენტს სატენდერო წინადადების განსაჯარობის მომენტამდე.

გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმოწერი, პრეტენდენტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195¹ მუხლის შესაბამისად.

ფასების ცხრილი

პრეტენდენტის დასახელება _____

საქონლის დასახელება	საქონლის ძირითადი მახასიათებლები	წარმოშობის ქვეყანა	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება	მიწოდების ვადა	მიწოდების ადგილი
1	2	3	4	5	6	7	8

პრეტენდენტის ხელმოწერა _____

შენიშვნა: პროდუქციის ერთეულის ფასსა და საერთო ფასს შორის სხვაობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება პროდუქციის ერთეულის ფასს.

გამარჯვებული პრეტენდენტი ვალდებულია შემსყიდველს წარუდგინოს დაზუსტებული ფასების ცხრილი ზემოაღნიშნული ფორმის მიხედვით

ხელშეკრულების შესრულების საბარანტიო უზრუნველყოფა
(საბანკო გარანტია)

ვის: _____
(შემსყიდველის დასახელება)

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ _____
(მიმწოდებლის დასახელება)

შემდგომში „მიმწოდებელმა“ _____ ტენდერში წარდგენილი თავისი
(ტენდერის დასახელება)

სატენდერო წინადადების შესაბამისად იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ხელშეკრულებაში მითითებულ თანხაზე, ჩვენ თანახმა ვართ გავცეთ მიმწოდებლის სახელზე შემოაღნიშნული გარანტია.

ამასთან დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე მიმწოდებლის სახელით საერთო თანხაზე

(თანხა ციფრებით)

(თანხა სიტყვებით)

და ვკისრულობთ შემოაღნიშნული თანხის გადახდას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე თქვენი პირველივე მოთხოვნისთანავე.

წინამდებარე გარანტია ძალაშია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების საბოლოოდ დამთავრებამდე.

გარანტების ხელმოწერა და ბეჭედი

(თარიღი)

(მისამართი)

7. დამატებითი ინფორმაცია:

7.1 სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში: ქ. თბილისი, ჭოროხის ქ. №6

ტელ: (832) 2923321 შიდა - 223

საკონტაქტო პირები:

ილია ტარასაშვილი	577 32 00 32	iliatarasashvili@gmail.com
თამარ რამაზაშვილი	577 30 51 30	tamoramazashvili@yahoo.com
ვასილ მეგრელიშვილი	577 30 88 30	vasil.megrelishvili@gmail.com
ვასო ცერცვაძე	577 32 06 25	vasotsertsvadze@gmail.com